სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის ***მზია გარშაულიშვილის*** **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**22**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**22**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**18**	**20**
პროფესიული თვისებები	**14**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**87**	**100**

თარიღი: 09.12.2024

ტრისტან ბენაშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი
ტრისტან ბენაშვილი

რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის მზია გარშაულიშვილის შეფასება/დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით დაწყებული რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურის ფარგლებში განვახორციელე კანდიდატის **მზია გარშაულიშვილის** შეფასება. შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით და 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

შეფასების დასაბუთება ეფუძნება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მიერ ამ კანონით დადგენილი წესით კანდიდატების შესახებ მოძიებულ სანდო ინფორმაციასა და 2024 წლის 2 დეკემბერს კანდიდატთან მზია გარშაულიშვილთან წარმართულ საჯარო მოსმენას.

<u>**კეთილსინდისიერების კრიტერიუმით**</u> რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის მზია გარშაულიშვილის შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. **პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**

მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი, დადებითი საკრედიტო ისტორია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-

ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შესაფასებელ პერიოდში კანდიდატს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ოთხი ფაქტი. დაკისრებული ჯარიმები გადახდილია დროულად.

რეკომენდატორები და სხვა გამოკითხული პირები კანდიდატს დადებითად ახასიათებენ. გამოარჩევენ მის კეთილსინდისიერებას, პატიოსნებას, სიმართლისმოყვარეობას, კორექტულობას და ა.შ.. გამოკითხული რესპოდენტები მიუთითებენ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი იყო მოკრძალებული, კორექტული. მისი ქცევა შეეფერებოდა მოსამართლის მაღალ სტატუსს.

არსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს სრულად აქვს შეგნებული მისი პირადი და პროფესიული მოვალეობები.

2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:

რეკომენდატორები და კოლეგები კანდიდატს აფასებენ, როგორც პრინციპულ და სამართლიან პიროვნებას. აღნიშნავენ, რომ მას შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად მიღება, არის პიროვნულად მტკიცე.

მზია გარშალიშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. აქვე აღსანიშნავია, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად და საჯარო მოსმენისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის მიკერძოებული დამოკიდებულება სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალების ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. გასაუბრებისას კანდიდატი ცდილობდა ყოველი დასმული საკითხი განეხილა ღიად და ობიექტურად.

გათვალისწინებული არგუმენტების შეფასებით და გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს დამოუკიდებლად ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:

წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი თავდაჭერილი და თავაზიანი

ადამიანია, მართავს საკუთარ ემოციებს. ითითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა კორექტულობას.

კანდიდატს პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. გარდა ამისა, გამორჩეულად აღნიშნავენ მის კორექტულობას, საკუთარი ემოციების მართვის უნარს და ა.შ.. კანდიდატს აფასებენ, როგორც თავდაჭერილ პიროვნებას.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მზია გარშაულიშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. ამასთან, საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში მოსამართლეობის კანდიდატის მზია გარშაულიშვილის მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული.

საჯარო მოსმენისა და ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, კანდიდატის პიროვნული და პროფესიული ქცევა შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:

კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი ხასიათდება მაღალი რეპუტაციითა და ავტორიტეტით.

რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ.

კანდიდატის მზია გარშაულიშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია, კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმით**</u> რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის **მზია გარშაულიშვილის** (როგორც სამოსამართლო უფლებამოსილების არმქონე კანდიდატის) შეფასების დასაბუთებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი მახასიათებლებით:

1. სამართლის ნორმების ცოდნა - <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას</u>**.

მზია გარშაულიშვილი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVIII ჯგუფის მსმენელი; მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულები - 78/16. რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში - 8.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, „მზია გარშაულიშვილმა წარმატებით გაიარა თეორიული სწავლის, სტაჟირების და სემინარული მუშაობის ეტაპები, წარმატებით ჩააბარა სკოლის დამამთავრებელი გამოცდა, სტაჟირებაში მიიღო უმაღლესი ქულა და სკოლის დამამთავრებელ გამოცდაში - 91 ქულობრივი შეფასება. ადმინისტრაციული სამართალში მზია გარშაულიშვილს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა, აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. აღსანიშნავია, რომ იგი არის შრომისმოყვარე, პასუხისმგებლიანი, მუდმივად მზადაა გაიღრმავოს ცოდნა, იგი მუშაობდა სისხლის სამართლის მიმართულებით, თუმცა მისთვის სირთულეს არ წარმოადგენს იგივე გულმოდგინებითა და პასუხისმგებლობით საუკეთესოდ გაართვას თავი სხვა კატეგორიის საქმეებსაც. მას აქვს უნარი, იმსჯელოს სამართლებრივ საკითხებზე, შემდგომ კი აღნიშნული მსჯელობა შესაბამისი დასაბუთებით ასახოს პროექტებში. სამოქალაქო სამართალში შესაფასებელ პირს აქვს ძალიან კარგი თეორიული ცოდნა და შესაბამისად ახდენს პრაქტიკაში მის გამოყენებას. აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი, არგუმენტირებული და დახვეწილი სამართლებრივი მსჯელობა. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა. მის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები წერილობით სწორად და თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული. რეკომენდებულია მან იმუშაოს დროის მართვისა და კონცენტრაციის უნარების უფრო მეტად განვითარებაზე. სისხლის სამართალში აქვს მატერიალური, პროცესუალური და საერთაშორისო სამართლის სათანადო ცოდნა, რის შედეგადაც ჯეროვნად აანალიზებს სამართლის ნორმებს. უსადაგებს საქმეში დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, შესწევს უნარი სწრაფად მოიძიოს სამართლის პრეცედენტები. გულმოდგინედ უსმენს და ეცნობა მხარეთა არგუმენტაციას. მხოლოდ საქმეში არსებული მასალებითა და სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე მსჯელობს და ახდენს მტკიცებულებათა ურთიერთშეჯერებას. მისი ნამუშევრები, გადაწყვეტილებების პროექტები დასაბუთებული, არგუმენტირებული და სტილისტურად გამართულია. იყენებს სამართლებრივ ტერმინებს, საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს მსჯელობებს, ასევე არგუმენტირებულად უსადაგებს მის ნაშრომს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებს. პიროვნულად არის გულისხმიერი, საუბარში აკადემიური და კორექტულია, მსჯელობს დამაჯერებლად, აქვს სხვისი აზრის მოსმენის უნარი და ამავდროულად, აზრსაც დასაბუთებულად აყალიბებს, არის გაწონასწორებული, მშვიდი, აქვს უნარი სტრესულ გარემოში მართოს საკუთარი თავი. მზია გარშაულიშვილს აქვს კარგი თეორიული ცოდნა, რასაც სათანადოდ იყენებს პრაქტიკაში. შეუძლია სამართლებრივი არგუმენტების მოძიება, მათი ერთმანეთთან სწორად დაკავშირება და შესაბამისი დასკვნის გამოტანა."

საჯარო მოსმენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვები.

შეიძლება ითქვას, რომ მზია გარშაულიშვილი კარგად ფლობს საქართველოს სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლებრივ საკითხებს. კანდიდატი არსებითად ადეკვატურად აცნობიერებს განხილული სამართლებრივი ნორმების შინაარსსა და სამართლებრივ დანიშნულებას. მისი პასუხები თანმიმდევრული იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე ვერ გასცა პასუხი საერთაშორისო სამართლიდან დასმულ შეკითხვას. კანდიდატის პასუხები დასაბუთებული იყო, მან ერთნაირად წარმატებით გაართვა თავი როგორც, სისხლის, ისე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლებრივ საკითხებზე დასმულ კითხვებს.

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - <u>აღნიშნული მახასიათებლის შეფასება ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u>

მზია გარშაულიშვილს აქვს სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, ამასათან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით: „მზია გარშაულიშვილის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების თუ სხვა საპროცესო დოკუმენტების პროექტები ყოველთვის მოწონებას იმსახურებდა." ასევე, კანდიდატთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი რეკომენდატორების ინფორმაციით, კანდიდატს აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი, კომპეტენტურობიდან და შრომისმოყვარეობიდან გამომდინარე, შეუძლია გადაწყვეტილების მაღალ დონეზე დასაბუთება.

მიმაჩნია, რომ კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებული და დასაბუთებულია. კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსის სწორად დანახვა, ძირითად საკითხზე კონცენტრირება და მისი ანალიზი.

3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი - <u>აღნიშნული მახასიათებლის შეფასება ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u>

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით: „მზია გარშაულიშვილისთვის სირთულეს არ წარმოადგენს შინაარსობრივად სწორად ჩამოაყალიბოს მიღებული გადაწყვეტილებები, იმსჯელოს მიმდინარე საქმეზე, სამართლებრივი მსჯელობა გასაგები ენით გადმოსცეს და მნიშვნელოვანზე გაამახვილოს ყურადღება. მსმენელის მიერ მომზადებული გადაწყვეტილებების პროექტები მოწონებას იმსახურებდა და მხოლოდ უმნიშვნელო შესწორებებს საჭიროებდა. მზია

გარშაულიშვილს შესწევს უნარი საქმის გარემოებები და მასში არსებული პრობლემები სტრუქტურირებულად ჩამოაყალიბოს ზეპირად. ასევე, ამომწურავად გადმოსცემს აზრს, მსჯელობისას გამოყოფს მნიშვნელოვან გარემოებებს, აკეთებს დასკვნებს, მიუსადაგებს შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებს."

გამოკითხული რეკომენდატორები მიუთითებენ, რომ მზია გარშაულიშვილს აქვს გამართული ზეპირი მეტყველების, წერის, აზრის ნათლად, დამაჯერებელად და გასაგებად ჩამოყალიბების უნარი, გააჩნია კამათის და სხვისი აზრის მოსმენის კულტურა. გამოკითხული რესპოდენტები კომპეტენტურობის კრიტერიუმის მითითებულ მახასიათებელში პოზიტიურად აფასებენ კანდიდატს.

მივიჩნევ, რომ კანდიდატს შეუძლია აზრის დამაჯერებლად და გასაგებად გადმოცემა. ამასთან, იგი ადეკვატურად გადმოსცემს სათქმელს, როგორც ენობრივად, ისე პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით; კანდიდატი ძირითადად მეტყველებს გარკვევით, საუბრისას საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ზოგადად, დატოვა მშვიდი და კორექტული ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატი აზრს გადმოსცემს ძირითადად თანმიმდევრულად, ლოგიკურად გამართულად.

4. პროფესიული თვისებები - <u>აღნიშნული მახასიათებლის შეფასება ეფუძნება კანდიდატის შესახებ არსებულ ინფორმაციას პრესასა</u> და <u>მედია საშუალებებში, მასთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს</u>.

გამოკითხული რეკომენდატორები მზია გარშაულიშვილს ახასიათებენ როგორც პუნქტუალურ, შრომისმოყვარე, დამოუკიდებელი აზროვნების მქონე პიროვნებას. რაც შეეხებათ რესპოდენტებს, კანდიდატს დადებითად ახასიათებენ კომპეტენტურობის კრიტერიუმის აღნიშნული მახასიათებლით.

კანდიდატის მიმართ არ არსებობს დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ რაიმე ინფორმაცია. კანდიდატის მზია გარშაულიშვილის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ვერ იქნა მოძიებული ინფორმაცია, კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით.

კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების და გამოკითხული რეკომენდატორების და რესპოდენტების ინფორმაციის საფუძველზე მიმაჩნია, რომ მზია გარშაულიშვილის კანდიდატურა შესაბამისია მოსამართლის თანამდებობისათვის.

5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - <u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გავითვალისწინე, მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, საოფისე კულტურა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ</u>

საქმიანობაში გამოყენება, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებები.

კანდიდატი მზია გარშაულიშვილი ღიაა სიახლეების მიმართ, იგი მუდმივად ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქტიურად მონაწილეობს პროფესიული წვრთნის პროგრამებში (განაჩენის დასაბუთება სისხლის სამართლის საქმეებზე - (HELP-ის დისტანციური სასწავლო კურსი) - ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში და იუსტიციის უმაღლესი სკოლა; საქართველოში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება და ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან - ევროკავშირი და ევროპის საბჭო; განაჩენის დასაბუთება (სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმა, მისი დასაბუთება და ტექსტის სტილისტური გამართულობა) - იუსტიციის უმაღლესი სკოლა და სხვა.). ამასთან, შეძენილ ცოდნას და უნარებს იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში.

კანდიდატს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა და მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდები, არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული.

6. პროფესიული აქტივობა - აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარს, იდეებისა და წინადადებების წამოყენებას, სამეცნიერო და სხვა სახის პუბლიკაციებს, პროფესიისა და საზოგადოების წინაშე მის დამსახურებას. აგრეთვე, სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მის მონაწილეობას, საკუთარი პოზიციის და შეხედულების ღიად და თავისუფლად გამოხატვას.

მზია გარშაულიშვილი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, თუმცა პერიოდულად მონაწილეობს ტრენინგებსა და სემინარებში სხვადასხვა მიმართულებით, რაც მიუთითებს, რომ მზადაა, მიიღოს ახალი მისთვის საჭირო და აუცილებელი ცოდნა და ინფორმაცია. ამასთან, რეკომენდატორების ინფორმაციით, კანდიდატს აქვს ინიციატივის გამოჩენის უნარი, შეუძლია იდეების და წინადადებების წამოყენება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით, საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 87 ქულას.

თარიღი : 09.12.2024 წ

ხელმოწერა: